ბორჯომი

9 თებერვალი
ხუთშაბათი
2023 წელი
№7 (9269)
ფასი 40 თეთრი

...რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

შეხვედრა აფხაზეთის დევნილებთან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია,** მინისტრის პირველი მოადგილე **გურამ მისაბიშვილი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის დევნილთა განსახლების ადგილებში შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

დავით ფაცაციამ აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროგრამებზე ისაუბრა და მიღწეულ შედეგებთან ერთად სამომავლო გეგმები გააცნო.

შეხვედრის მიმდინარეობისას, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, სამინისტროს წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია ბორჯომის დევნილთა განსახლების ადგილებში არსებული მდგომარეობის შესახებ და ერთობლივად იმსჯელეს მათი საჭიროებების მოგვარების გზებზე.

მოსახლეობის დაავადებათა პრევენციისათვის

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის დაავადებათა პრევენციის შემდგომი მკურნალობის ხელშეწყობისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს 10 პროგრამაში ცვლილება განხორციელდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამაში ცვლილებებია. ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან მრავალშვილიანი ოჯახები მიმდინარე წლიდან 50 ლარით მეტ დახმარებას მიიღებენ.

ქვეპროგრამის ფარგლებში, 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტ შვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე, ყოველთვიურად 250 ლარი მიიღებენ და ყოველ მომდევნო შვილზე დაემატებათ 50 ლარი. ხოლო, 200 ლარს ის ოჯახები მიიღებენ, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე, 200 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთერთი შვილი შშმ პირი ჰყავთ.

დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტმა, სოციალური პროგრამების ფარგლებში, იანვარში 238 909 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 755 ბენეფიციარს გაუწია.

138 959 ლარი, 148 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 91 ბენეფიციარი 16 571 ლარით დაფინანსდა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 37 პაციენტი 27 310 ლარით, ხოლო 105 მრავალშვილიანი ოჯახი 25 250 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედამამით ობლებმა და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.

მთის ტრასების სააგენტოს განცხადება

„ტვ პირველის“ ეთერში გასული მასალა მიზანმიმართულად ემსახურება არამხოლოდ საქართველოს კურორტებს, არამედ ქვეყნის დისკრედიტაციას

მთის ტრასების სააგენტო ეხმაურება „ტვ პირველის“ ეთერში გასულ მასალას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ზამთრის კურორტებზე გუდაურსა და ბაკურიანში ტურისტული სეზონი ჩავარდა, რადგან შესაბამისმა უწყებებმა ვერ შეძლეს კურორტების სათანადოდ მომზადება.

- ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ტელეკომპანიის განცხადება მიზანმიმართულად ემსახურება არამხოლოდ საქართველოს კურორტების, არამედ ქვეყნის დისკრედიტაციას, მითუმეტეს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველო ძალიან აქტიურად ემზადება ფრისტაილის 2023 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მხრიდან გვაქვს დადებითი შეფასებები როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე საორგანიზაციო ნაწილში.

გვსურს საზოგადოებამ იცოდეს, რომ ბუნებრივი თოვლის არმოსვლის გამო, გუდაურში ხელოვნური გათოვლიანების პროცესი დაიწყო მაშინვე, როგორც კი კლიმატურმა პირობებმა მოგვცა ამის შესაძლებლობა (ხელოვნური გათოვლიანებისთვის აუცილებელია დაბალი, მინუს ტემპერატურა) - 2022 წლის 21 დეკემბრიდან ჩვენი გუნდი 24-საათიან, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა იმისთვის, რომ მოემზადებინა სასრიალო ტრასები.

2023-2024 წლებში გუდაურში კიდევ 2 სათხილამურო ტრასაზე დამონტაჟდება ხელოვნური გათოვლიანების სისტემები, რაც, ჯამში, მოგვცემს საკმაოდ დიდ სასრიალო არეალს. გარდა ამისა, უკვე დამონტაჟებულია 29 კმ-ნი ხელოვნური გათოვლიანების სისტემა ბაკურიანში (დიდველის, კოხტასა და მიტარბის არეალში), სადაც წელს ფრისტაილის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროექტი ერთიან კონტრაქტში მსოფლიოს მასშტაბით არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ მედიასაშუალებებს, შესაბამის უწყებებთან გადაამოწმონ და ისე მიაწოდონ საზოგადოებას ზამთრის კურორტებთან დაკავშირებული ინფორმაცია“, - აღნიშნულია „მთის ტრასების სააგენტოს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უწყებათაშორისი შეხვედრა - ბაკურიანში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ **მარიამ ქვრივიშვილმა** ბაკურიანის მსოფლიო ჩემპიონატის სათანადო ორგანიზებისთვის უწყებათაშორის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა .

2 კვირაზე ნაკლები დრო დარჩა ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებამდე. ინფრასტრუქტურის ნაწილში ყველა ძირითადი სამუშაო, პრაქტიკულად, დასრულებულია. ბოლო ეტაპზეა სპორტსმენთა სოფლის მშენებლობა და მოწყობა. საქართველომ უკვე მიიღო ძალიან მაღალი შეფასება საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციისგან ყველა შესრულებულ სამუშაოზე ინფრასტრუქტურის თაობაზე, რომელიც ჩვენმა საორგანიზაციო გუნდმა შეასრულა. ყოველივე ეს გვაძლევს იმის შესაძლებლობას, ვიყოთ დარწმუნებული, რომ საქართველო ღირსეულად უმასპინძლებს ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ტურიზმის, განსაკუთრებით, სამთო ტურიზმის განვითარებას და ამ მხრივ, საქართველოს სწორ პოზიციონირებას, - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილმა.

შეხვედრაზე, რომელიც ბაკურიანში გაიმართა, განიხილეს ჩემპიონატის საორგანიზაციო, სატრანსპორტო - ლოჯისტიკური და უსაფრთხოების საკითხები.

თავისუფალი სტილით სრიალში თხილამურითა და სნოუბორდით მსოფლიო ჩემპიონატი საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით გაიმართება. ჩემპიონატი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მთის ტრასების სააგენტოსა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით ტარდება, წარმდგენი კომპანია „სილენტია“.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის განცხადება

პატრიარქის უაღრესად მნიშვნელოვანი საიუბილეო წელი საშუალებას გვაძლევს, რომ გავაგრძელოთ, ის კულტურული, სულიერი და ინტელექტუალური ხასიათის ღონისძიებები, რომელიც პატრიარქის საიუბილეო პერიოდთან არის დაკავშირებული.

ამ განზრახვით გვარების წინამძღოლთა დარბაზმა სამების საკათედრო ტაძრის სხდომათა დარბაზში ჩაატარა გაფართოებული შეხვედრა, სადაც გვარების წინამძღოლებმა ისაუბრეს პატრიარქის მიმართ დამოკიდებულებაზე, და იმ დიდ სულიერ ღვაწლზე, რაც პატრიარქის სახელთან არის დაკავშირებული .

ამავე განზრახვით ერთ-ერთ დიდ დარბაზში მოხდა საქართველოს გვარების წინამძღოლთა შეხვედრა, სადაც საზეიმო ტრაპეზითა და აკადემიური მსჯელობით წარიმართა საუბარი ამ საიუბილეო წლის მნიშვნელობის შესახებ.

პატრიარქის საიუბილეო წელთან დაკავშირებით 31 იანვარს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სწორედ იქ, სადაც დაფლულია „კვართი უფლისა ჩვენისა“ და სადაც აღმართულია ჩვენი რწმენის ცხოველმყოფელი სვეტი, პატრიარქის სახელზე აღესრულა საგანგებო, სავედრებელი პარაკლისი. ღვთივკურთხეულმა გვარებმა და გვარის წინამძღოლებმა დეკანოზ აკაკი მელიქიძესთან ერთად ილოცეს დღევანდელ მსოფლიოში უხუცესი პატრიარქისა და საპატრიარქო ღვაწლით ესოდენ წარმოჩინებული მაღალიერარქის, კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორესათვის. სულიერი ერთობა ყველაზე მნიშვნელოვანი.

გახდით თანამონაწილე ამ მადლიანი ერთობლივი ლოცვისა, ეს არის სრულიად საქართველოს გვარების მადლიერება და სიყვარული პატრიარქის მიმართ, რამეთუ იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს ღმერთი არის სიყვარული როგორც იოანე ღვთისმეტყველი იწოდება სიყვარულის მოციქულად ასევე ჩვენთვის ილია მეორე არის სიყვარულის პატრიარქი.

მეგობრებო! გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“!

90 წლის რაიონულ გაზეთ „ბორჯომს“ ქვეყანაში არსებული კრიზისისა და ცხოვრების გაძვირების გამო გარკვეული ფინანსური სიძნელეები შეექმნა, 100%-ით გაგვიძვირეს გაზეთის ბეჭდვა. იძულებული გავხდით, შეგვემცირებინა რედაქციის თანამშრომელთა ისედაც მიზერული ხელფასები, ფოსტალიონებს ვეღარ ვუხდით ანაზღაურებას, ვეღარც ფერად ილუსტრირებულ გაზეთს ვბეჭდავთ.

ბუნებრივია, გაზეთის ხელმომწერთა სიმრავლე გადამწყვეტია. მთავარია საუკუნეს მიტანებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, კულტურულმა, საგანსწავლებელი და საინფორმაციო გაზეთმა „ბორჯომმა“ სიცოცხლე გააგრძელოს.

ამიტომ მოგმართავთ, ჩვენი ხეობის წიგნიერ მაცხოვრებლებს, ვისაც ჯერ კიდევ გიყვართ კითხვა, შეგაბსენებთ, გამოიწერეთ სანდო, სამართლიანი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი „ბორჯომი“. იგი ერთადერთია მთელ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდის და ვრცელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში ხელმომწერებზე.

ახლა ისევ თქვენი იმედი გვაქვს! გთხოვთ, გამოიწეროთ გაზეთი „ბორჯომი“. ამავე დროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ფირმებს, ინდმეწარმეებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეღავათიან ფასად გთავაზობთ ჩვენს სამსახურს - გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ თქვენს განცხადებებს, მილოცვებს და სხვა მასალებს. თუ თანახმა იქნებით, თქვენი საწარმოს (ორგანიზაციის, დაწესებულების) ან თქვენი მოწინავე თანამშრომლების შესახებ მოვამზადებთ საგაზეთო წერილებს. ყოველგვარი რეკლამა და ქველმოქმედება გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ, გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ, თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას. ჩვენ ერთად, თანადგომით გადავარჩენთ საუკუნეს მიტანებულ გაზეთს და ხელს შევუწყობთ რედაქციის ჟურნალისტების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში
ჩვენი მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ №2 ტელ. 22-29-65; 599 227 929.

მოგიწოდებთ, გამოიწეროთ, იყიდოთ, იკითხოთ გაზეთი „ბორჯომი“, რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია

გიორგი ზედგინიძე 100 წლის გახდებოდა

ერის ღირსეული მამულიშვილი

ჩვენს სიცოცხლეს წუთისოფელი ჰქვია. ნათქვამია, ადამიანმა წუთისოფელში ორი სახელით უნდა იცხოვროს, ერთი აქ დასატოვი, მეორე მარადისობაში წასაღები. წუთისოფელში იმდენხანს გაგიხსენებენ, რა კაცობითაც იცხოვრე, თუ ღირსეული პიროვნება იყავი, დიდხანს გაგიხსენებენ, თუ არადა, მარადისობაში გამხსენებელი ნაკლებად გეყოლება. რა ბედნიერია ადამიანი, ვისაც აქ დიდხანს დარჩება გამხსენებელ-მომგონებელი. სწორედ ასეთ პიროვნებაზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა. დიახ, დიდებული პიროვნება ბატონი გიორგი ზედგენიძე მინდა გავიხსენო. ან გასახსენებელი რა ჭირს ამ მთასავით კაცს, მას შემდეგ რაც გარდაიცვალა, სულ მახსოვს და ხშირად ვიხსენებ მასთან საუბრის ეპიზოდებს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, გარდაცვალებიდან - 30 წელი შეუსრულდება მომავალ წელს.



ბატონმა გიორგიმ წარუშლელი კვალი დატოვა ბორჯომის საზოგადოებაში, მისი დინჯი, ბრძნული საუბარი ახლაც ყურში ჩამესმის. მისი სახით სამშობლოს ერთგული ვაჟკაცი დაააბიჯებდა ამ მადლიან მიწაზე. შესწავლილი ქონდა სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, აჭარის ისტორიული ძეგლები, ზეპირად იცოდა უამრავი ისტორიული ძეგლის წარსული, ზრუნდავდა მათი აღდგენისათვის, მის ნათქვამს რაიონის ხელმძღვანელები უჯერებდნენ და ბევრი კარგი საქმეც გააკეთა ქვაბისხევის და მწვანე მონასტრების, მონასტრის ფრესკების შესწავლის საქმეში.

შესანიშნავი ისტორიული რომენები დაგვიტოვა: **„დედის ტაძარი“ და „გატეხილი ხიდი“,** 28 ათასამდე სიტყვა შევიდა მის რუდუნებით შესწავლილ **„ჯავახურ ლექსიკონში“.** მესხეთის თეატრში წარმატებით დაიდგა ბატონი გიორგის პიესა „**მანუჩარ ჯაყელი“** და სხვა.

პედაგოგად იყო დაბადებული. დიდხანს ტაძრისს სკოლის დირექტორად მუშაობდა. მრავალი სკეთის მკეთებელი გახლდათ. დღესაც მონიწებით, დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მშობლიური ბალანთის, საკირის, ტაძრისისა და დგვარის მოსახლეობა, მის ხელში გამოზრდილი ყოფილი მოსწავლეები. ბატონ გიორგის დიდი მცდელობით აშენდა ტაძრისს საშუალო სკოლა. აღდგა გიორგი მთაწმინდელის აღმზრდელი მონასტერი, ბევრი სკეთე გააკეთა თვით სოფლის მოსახლეობისათვის. თუნდაც გასახსენებლად ნამდვილად ღირს შესანიშნავი პედაგოგის და პოეტის ქალბატონ ოლია თოფურიანის თავს გადახდენილი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია ბატონ გიორგის მიერ გამოჩენილ დიდსულოვნებასთან და გაჭირვებული ოჯახის დახმარებასთან. იმ წლებში დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ ადამიანები.

იმხანად ოლია VII თუ VII კლასის მოსწავლე იყო, მთელი კლასი კოლმეურნეობაში კარტოფილის ამოსაღებად წაიყვანა მასწავლებელმა, რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს დასვენების უფლება მისცა. ყველა ერთად შეაგროვა და მათი გართობის მიზნით თავისუფალი კითხვა დასვა, აბა ბავშვებო, ვინ რაზე ოცნებობთო. ვინ ნაყინი იოცნება, ვინ ფეხსაცმელი, შარვალ-ხალათი, ვინ შორეული მოგზაურობა ინატრა, იყო მოსწავლეთა სიცილ-კისკისი, მარტო ოლია იდგა შორიახლოს ეულად, თანასოფლელების ოხუნჯობაში არ იღებდა მონაწილეობას. მასწავლებელს არ გამოპარვია ოლიას მოწყენილობა, დაუძახა, ახლოს მოდიო და ახლა მას გაუმეორა - აბა, შენ მითხარი, რაზე ოცნებობო. ოლიას თვალზე ცრემლი აუკიაფდა და მასწავლებელს თავჩაქინდრულმა უთხრა: - მასწავლებელო, ვოცნებობ დღეს მაინც არ იწვიმებდეს, თორემ ჩვენს სახლში ისე წვიმს, როგორც გარეთ. წუხელის მთელი ღამე წვიმას ვებრძოდით, ოთახიდან ოთახში დავრბოდით ვედროებით და ტაშტებითო.

მოსწავლეები ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდნენ ოლიას. ყველამ იცოდა ოლიას გასაჭირი, მამა ახალი გარდაცვლილი ყავდა, დედმამიშვილები პატარები იყვნენ და დედას დიდი ჯაფა ადგა. სახლის გადახურვის არანაირი საშუალება არ ქონდათ. იმ წლებში ომი ახალი დამთავრებული იყო და მოსახლეობასაც სერიოზულად უჭირდა. მეორე დღეს მასწავლებელმა ოლია თოფურიანის გაჭირვების ამბავი სკოლის დირექტორს, ბატონ გიორგის უამბო. იმავე დღეს ბატონი გიორგი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან წავიდა და თავმჯდომარეს გამგეობის სხდომის მოწვევა სთხოვა. წინასწარ თავისი გულისნადები უთხრა, იქნებ თოფურიანების ოჯახს სახლი გადავუხუროთო, უკაცო ოჯახია, დავეხმაროთო.

იმ დღეს გამგეობის სხდომაზე ბატონი გიორგი სიტყვით გამოვიდა და ოჯახის გაჭირვების ამბავი გააცნო. იქვე შემუშავდა სამოქმედო გეგმა. მეორე დღეს სოფელში მცხოვრები დურგლები თავიანთი იარაღებით მივიდნენ თოფურიანების ეზოში, ვინ ყავარი, ვინ სტრაფილი, ვინ ფიცარი მიიტანა, დამპალი ყავარი გადახადეს და ახლით გადაუხურეს, ბატონი გიორგი მუშებს გვერდიდან არ მოშორებია, ხელოსნებს მარჯვენას უქებდა და კოლექტიური შრომის სიდიადეზე ესაუბრებოდა. მერე მეზობლების დახმარებით სუფრაც გაიშალა, ბატონი გიორგი თამადად დადგა და მრავალ კარგ და გულიან სადღეგრძელოსთან ერთად, წინაპართა გმირულ წარსულსაც ახსენებდა სოფლის გლეხკაცობას. ქართველები ხომ ასე ერთსულობენებამ გადაარჩინაო და ჩვენი ვალია ახლაც ერთსულოვნები ვიყოთო.

ეს სევდიანი ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ არც დღეს გვაწყენდა ბატონი გიორგის მსგავსი გულისხმიერი, კაცთმოყვარე, მაღალი შეგნების ადამიანების არსებობა. მისმა მგზნებარე სიტყვამ სოფლის გლეხკაცობაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

მე, როგორც ბატონ გიორგის უმცროს მეგობარს, ძალიან მაკლია მისი რჩევა-დარიგებები, გონივრული წინადადებები. იგი ნამდვილად ერის ღირსეული პიროვნება გახლდათ.

ვალერიან ლომიძე

სიახლე კარგია, მაგრამ...

მოქალაქეების ჯანმრთელობისადმი ზრუნვა მთავარია

კოსტავას სახლობის პარკის გაჭიანურებულმა რეკონსტრუქციამ მართალია, ზაფხულის საკურორტო სეზონი ჩაგვიშალა ბორჯომელებსაც და ჩამოსულ სტუმარ-მასპინძლებსაც, მაგრამ საახალწლო ნაძვის ხის აქ აღმართვამ და წინასაახალწლო ზეიმმა ადრეული უსიამოვნებები დაგვავიწყა. რაც მთავარია, პარკის კეთილმოწყობის დასრულებას მოვესწარით. აქ მრავალი რამ ახლებურადაა გადაწყვეტილი, მთავარი სასიარულო-სასეირნო ბილიკის ქვემოთ ამაღლდა მიწა (აქ ბევრგან წვიმის შემდეგ გუბეები დგებოდა), საბავშვო ატრაქციონებისთვის მოეწყო სხვანაირი (ახლებური) ღია ნაგებობები. ბილიკის ძველი ფილები მთლიანად აიყარა და ახალი დაიგო; რაც მთავარია, ვეღირსეთ რუსების მეფისდროინდელი ე.წ. კავალერის შენობის (საბჭოთა დროში - პოლიკლინიკის) რეაბილიტაციის დასრულებას. შენობა სხვანაირი მშვენებით და პეწით წარმოჩინდა. მის ფუნქციურ დანიშნულებაზე ბორჯომელთა აზრი ორადაა გაყოფილი: ნაწილის სურვილია აქ განთავსდეს სამუზეუმო ექსპონატები და მოეწყოს საგამოფენო სივრცეები (შენობის ინტერიერი მართლაც ამგვარადაა მოწყობილ-გარემონტებული). სხვანი ფიქრობენ, რომ ქალაქის განაპირას არსებული ე.წ. „პიონერთა სახლი“ აქ იყოს გადმოტანილი, ქალაქის ცენტრში, სადაც მოსწავლეები მრავალ საჭირო ხელობას (ხატვას, ხის გამოჭრა-მოჩუქურთმებას, ქარგვას, ხელოსნობას და სხვა ა.შ. დაეუფლებიან, რაც ცხოვრებისათვის მართლაც საჭიროა). ჩემი აზრი კი ასეთია: **ეს შენობა ორივესთვის იყოს გამოყენებული.**

პირველ სართულზე (რადგან ტურისტებისათვის უფრო ადვილი იქნება დათვალიერება) განლაგდეს და გამოიფინოს სამუზეუმო ექსპონატები, მეორე სართულზე იფუნქციონიროს მოსწავლეთა შემოქმედებითმა სექციებმა. ამისათვის მეორე სართულზე საჭირო იქნება გაშლილი საგამოფენო სივრცეების გადატხვრა. წარსულის დაფასება-პატივისცემის გარდა მომავალზე, ჩემი აზრით, უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ!

კოსტავას ბაღის მთავარი სასეირნო ფართო ბილიკის გაყოლებით განთავსებულია საბაღე სკამები, ოღონდ ადრე თუ ხის საბაღე სკამები იყო, ახლა რკინის დაუდგამთ. ჩანაფიქრი, რასაკვირველია,

კარგია, ასეთი სკამები გამძლეა, სამუდამოა, აღარ გაფუჭდება. მაგრამ ჩემი აზრით, აქ მეორე მხარესაც უნდა მიექცეს ყურადღება: ახალგაზრდები შეიძლება ცოტა ხნით ზამთარშიც კი ჩამოჯდნენ ამ რკინის სკამებზე, მაგრამ უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ჩამოჯდომა მათი ჯანმრთელობისათვის საში იქნება. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი ამბავი. ჩვენ ჯეოჰოსპიტალთსში ერთხელ ავადმყოფები ირეოდნენ და ექიმის კაბინეტების წინ რკინის სკამებზე ისხდნენ. ერთი მოხუცი ქალი შემოვიდა და შედარებით ახალგაზრდამ ადგილი დაუთმო. მოხუცმა შეიცხადა: მადლობა, შვილო, მაგრამ მაგ რკინის სკამზე რა დამაჯენს, გამაცივებს, ავად გავხდებიო. ადრეც ამ სკამზე ჯდომამ გამაცივა. აქ ხშირად მიწევს სიარული და სახლიდან თბილი შალის საფენი მომქონდა, რომ ამ სკამზე დამეგო და დავმჯდარიყავი. ახლა შალი დამავიწყდა, მაგრამ მანდ მაინც ვერ დავჯდებიო. ამ მოხუცს სხვებიც დაეთანხმნენ, ერთი-ორი სკამიდან კიდეც წამოდგა. არადა, გარეთ ყინვა კი არ იყო, საკმაოდ თბილი შემოდგომა ხალისობდა. „ჯეოჰოსპიტალისს“ ხელმძღვანელობამ იქნებ თბილი სკამებიც შეიძინოს!

ასე რომ, ბაღის გრძელი რკინის სკამები, ცოტა არ იყოს, ჯანმრთელობისათვის საშიშია. კარგი იქნება, თუ აქა-იქ ისევ ძველი ლამაზი ხის საბაღე სკამები ისევ განლაგდება!

ახალს არაფერს ვამბობ: **ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობისადმი ზრუნვაა მთავარი!**

აქვე შევნიშნავ: კარგია საბავშვო ატრაქციონების მომრავლება, მაგრამ დასვენების დროს ასაკოვან ადამიანებსაც უნდათ გართობა. კარგი იქნებოდა, ორ ადგილას მაინც ჩადგმულიყო ღია, მაგრამ გადახურული ფანჩატური, სადაც განლაგდებოდა ხის საბაღე სკამები და მაგიდები, სადაც ადამიანები ითამაშებდნენ: ნარდს, შაშს, ჭადრაკს, დომინოს და ა.შ.

უჩა არაგვისპირელი.

საბავშვო ბაღის ერთგული მზარეული

თამარ ზედგინიძის თანამშრომლობა ბორჯომის №1 ბაღის სამზარეულოში წლებს ითვლის. მის მიერ მომზადებული საუზმე, სადილი და ლანჩი, მალევე პატარა აღსაზრდელების უგემრიელეს და უსაყვარლეს კერძად იქცევა ხოლმე. ათეულობით აღსაზრდელის მთელი დღის რაციონზე ზრუნვა და შესაბამის პირობებში პროდუქტის მომზადება მისთვის ყოველი სამუშაო დღის სასიამოვნო რუტინას წარმოადგენს. მახსოვს, როგორ ეუბნებოდა მეგობარს გზად გოგონა, რომ ბაღის მსგავსი საჭმელები მოემზადებინა მისთვის.

ხშირად ამბობენ, რომ როგორ გულისხმიერებითაც ამზადებ კერძებს, სწორედ ისეთი გამოვაო და ჩვენი გაზეთის რესპონდენტის შემთხვევაშიც სწორედ ასეა. ბავშვებს მოსწონთ, თამარ ბებოს გამომცხვარი უგემრიელესი ფუნთუშები, ფაფები, კერძები და პურიც ყოველთვის ისე აქვს დაჭრილი, რომ მან შეძლოს განურჩევლად ყველას მისთვის საყვარელი ნაჭერით გაუმასპინძლდეს.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი (აკაკი და მაია ბალახაძე) და ხუთი შვილიშვილის ბებიაა, რომელთა სწავლითა და წარმატებებით ხარობს, განსაკუთრებით ახარებს ბექა ჭკუასელიძის სპორტისადმი გამოჩენილი დიდი ინტერესი და მიღწეული წარმატებები.

ბორჯომის №1 ბაღის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან გრიგალაშვილმა **თამარ ზედგინიძეზე** საუბარი ასეთი სიტყვებით დაიწყო:

- ჩვენი მესხი თამარი უკვე 40 წელზე მეტია მუშაობს ბორჯომის №1 საბავშვო ბაღში, იგი ჩვენი შეფ-მზარეულია, დრო და დრო ვითარდებოდა ამ სფეროში და დღეს ვთვლი, რომ თავისი საქმის პროფესიონალია. ოქროს ხელები აქვს, არის მაღალპროფესიონალი და დისციპლინირებული, თავის საქმეში დებს სულსა და გულს, სწორედ ამიტომ მისი მომზადებული კერძები ყოველთვის გემრიელი და ხარისხიანია, უყვარს თავისი საქმე, მას აკეთებს სიამოვნებით და სიყვარულით, რაც ყველაზე მთავარია, ის არის ძალიან კარგი ადამიანი და ერთგული მეგობარი.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში გრძელდება გაერთიანების მონიტორინგის ჯგუფის მიერ საბავშო ბაღების ინტენსიური მონიტორინგი.

- გასულ კვირას მონიტორინგის სპეციალისტები და მეთოდისტები ბორჯომის №1 საბავშვო ბაგაში, №4 საბავშვო ბაგა-ბაღში, ყვიბისის საბავშვო ბაგა-ბაღში და წაღვერის საბავშვო ბაღში იმყოფებოდნენ - მათ დეტალურად შეამოწმეს სამზარეულოები, საკვები პროდუქტების საწყობები, საკვების მომზადების პროცესი, სააღმზრდელო ჯგუფებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე, ბავშვთა აღრიცხვიანობა საქმის წარმოების დოკუმენტაცია და მეთოდოლოგია.

ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების შემადგენლობაში 11 საბავშვო ბაღი და 784 აღსაზრდელია რეგისტრირებული. მონიტორინგი უწყვეტი პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

- **ვზრუნავთ ჩვენს ჯანმრთელ მომავალზე,** - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ნინო ბენდელიანმა.**

ქალბატონი **თამარ ზედგინიძე** ბორჯომის №1 ბაღის სამზარეულოდან ერთ-ერთია, რომელიც გამორჩეულად ზრუნავს ბავშვთა უსაფრთხოებაზე და ზედმიწევნით იცავს დადგენილ წესებს. მადლობა მას, დაუღალავი შრომისთვის და პროფესიონალიზმთან ერთად მუდმივად მზრუნველობითი დამოკიდებულებისათვის. 30 წლის მანძილზე სახლიდან სამსახურამდე განვლილი ყოველი დღისთვის. ჩვენ, ვამაყობთ ასეთი პიროვნებებით, რომლებიც სამაგალითონი არიან და ქმნიან ღირებულებებს ჩვენს ირგვლივ.

მოამზადა ია იანეარაშვილმა

ზრუნავს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის

ოჯახში დედას სამედიცინო განათლება ჰქონდა, ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ძალიან მინდოდა ამ სივრცის ნაწილი ვყოფილიყავი.

სწავლის დაწყების პირველივე წუთიდან ისე დამაინტერესა, მას შემდეგ ჩემი ცხოვრება მედიცინის გარეშე არ არსებობს.

ვფიქრობ ხოლმე, წლები რომ გავა, რა უნდა ვქნა? როგორ უნდა ვიცხოვრო? როგორ გახდება ყოველდღიურობა, როცა ასაკი ჩემი საყვარელი საქმის გაკეთების შესაძლებლობას ვეღარ მომცემს?

20 წლის ვიყავი, მუშაობა რომ დავიწყე. ბოლო 12 წელია რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ბაკურიანის კლინიკაში ვარ.

პანდემია ძალიან რთული გადასატანი იყო, ალბათ, ისევ ერთმანეთის გვერდში დგომამ შეგვაძლებინა;

ტრანსპორტი რომ გაჩერდა, სამსახურამდე 7 კილომეტრს ზოგჯერ ფეხით დავდიოდი. მადლობელი ვარ, რომ ფიზიკურად შევძელით.

ზამთრის სეზონი ჩვენთვის დიდ დატვირთვას უკავშირდება.

ბაკურიანის მედპერსონალი თავის ვალდებულებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და მიხარია, რომ წლებია ამ სივრცის ნაწილი ვარ.

ქუჩის გამოკითხვა

რა სურს ახალგაზრდა თაობას?!

თანამედროვე ეპოქა ბევრ საშუალებას თავაზობს თანამედროვე ახალგაზრდებს საკუთარი შესაძლებლობებისა თუ უნარ-ჩვევების გამოვლენის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ერთ-ერთი საშუალებაა ახალგაზრდების გართობისათვის, მათ მაინც სჭირდებათ ისეთი რამ, რაც უფრო მეტად დააახლოებს საკუთარ თანატოლებთან თუ საზოგადოებასთან. რას ნიშნავს გერქვას თანამედროვე ახალგაზრდა, რა არის ის, რითიც განსხვავდებიან ისინი უფროსი თაობისაგან, რისი გაკეთების უფლებას აძლევენ, ან არ აძლევენ მათ მშობლები და რა სურთ მათ ყველაზე მეტად? ამ და სხვა კითხვებით ბორჯომელ ახალგაზრდებს მივმართეთ:

ნინო, 14 წლის: - თანამედროვე ახალგაზრდობას უფრო მეტად შეგვიძლია საკუთარი აზრის გამოხატვა. ზოგჯერ საკუთარი მშობლების, პედაგოგებისა თუ უფროსი თაობისაგან ცოტა უკმაყოფილებას ვგრძნობთ ამ კუთხით, თუმცა, მგონია, რომ თუკი რაღაც მსურს ან გარკვეულ საკითხზე ნეგატიურ პოზიციას დავაფიქსირებ, ეს ჩემი პირადი მოსაზრება და უფლებაა. რატომ არ უნდა გავაუღერო ვერ ვხვდები. უფროსი თაობა უფრო შებოჭილი იყო. ყველაფერზე საუბარი არ შეეძლოთ ხმამაღლა. შეიძლება ტექნოლოგიები ძალიან დიდი მიღწევაა, მაგრამ რაც ბორჯომში გვაკლია, არის სივრცე, სადაც ჩემი თაობის ახალგაზრდები მოვახერხებთ მისვლას, დამატებითი განათლების მიღებას და გართობასაც. სამწუხაროდ, ჯერ ამ კუთხით არაფერი გაკეთებულა.

მარიტა, 16 წლის: ჩემი თაობა უფრო მეტად განათლებული მგონია, რადგანაც სახლიდან გაუსვლელად ბევრი ცოდნის მიღება შეგვიძლია. სკოლის შემდეგ ყოველთვის ვცდილობ, თანამედროვე ტექნოლოგიები ჩემთვის სასიკეთოდ გამოვიყენო. დამატებით უცხო ენას ვსწავლობ, (კორეულს). აი წარმოიდგინეთ, სოციალური ქსელი რომ არ იყოს, ამას ვერ შევძლებდი, რადგანაც ჩვენ რაიონში კორეული ენის მასწავლებელი არ გვყავს. მე კი ძალიან მომწონს მათი ენა, კულტურა. ჩემი თაობა უფრო მეტად თავისუფალია, უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ განათლების მიღების მიმართულებით. მთავარია, გულით გინდოდეს რაღაც გამოვხატავ და ზოგჯერ ვცდილობ, რომ ჩემი რეალური პოზიცია არ გამოვხატო, რაღაც საკითხის მიმართ, ისევ და ისევ პატივისცემიდან გამომდინარე, ჩემი თანაკლასელების მხრიდან რამდენჯერმე ბულინგის მსხვერპლიც კი გავმხდარვარ. უთქვამთ, მერე რაა, მასწავლებელი რომაა, ამა თუ იმ საკითხში შენ იყავი მართალი და რატომ დაუთმეო. ჩემი მშობლების თაობაში ძალიან დიდი პატივისცემა იყო უფროსების და მშობლები ჩემგანაც ამას მოითხოვენ. მე ჩემზე უმცროსებსაც პატივისცემით ვესაუბრები, რათა არ ქონდეთ იმის განცდა, რომ ვიღაც მათზე უფროსია ან მე ვარ ვიღაცაზე რამით მეტი. მიყვარს ტექნოლოგიები და სწავლის გაგრძელებასაც სამომავლოდ ამ კუთხით ვაპირებ. ვისურვებდი, რომ ბორჯომში არსებული მიმართულებით დაწესებულება იყოს, სადაც იდეების რეალიზაციას მოვახდენთ. ეს ალბათ, აუხდენელი ოცნებაა.

თაზო, 13 წლის: მე სპორტი მიყვარს და ჩემი სურვილი იყო, რომ ფეხბურთი მეთამაშა. ფეხბურთელი არავინაა ჩემ ოჯახში. ძალიან პატარა შემიყვანეს და როდესაც ჩემი შესაძლებლობა გამოვავლინე, უფრო მეტად შემინყეს ხელი. ძირითადად თბილისში მიწევს ყოფნა სპორტული ცხოვრებიდან გამომდინარე და მშობლები ძალიან მიწყობენ ხელს. სპორტის გარდა უცხო ენებზე დავდივარ. მგონია, რომ წარმატებულმა სპორტსმენმა ერთი სასაუბრო უცხო ენა მაინც უნდა იცოდეს. ვისურვებდი, რომ ახალგაზრდებს, არა აქვს მნიშვნელობა, სპორტის რომელ სახეობას ეუფლებიან, უფრო მეტი ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ (იქნება სავარჯიშო დარბაზები თუ მოედნები).

ლიზა, 15 წლის: - ყველაზე მეტად რაც თანამედროვე თაობაში მომწონს, არის საკუთარი სტილი. ყველას ჩვენი საკუთარი გემოვნება გვაქვს. ვიცვამთ იმას, რაც გვინდა, ვკითხულობთ და ვუსმენთ, რაც მოგვწონს. ზოგს კლასიკური მუსიკა მოსწონს. იმას კი არ ვამბობ, რომ მე არ ვუსმენ, უბრალოდ გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. მუსიკაში ძირითადად თანამედროვე მიმართულება მომწონს. გარდატეხის ასაკს რომ ეძახიან, მე პირადად ახლა ეგ ასაკი მაქვს. ადრე სხვანაირი ხასიათი მქონდა. უფრო დამჯერი ვიყავი (იცინის). ახლა სულ მეცვლება. ერთ წუთს კარგ ხასიათზე ვარ, მეორე წუთს შეიძლება ხმა არც კი ამოვიღო. სკოლაშიც უფრო თანამედროვე მიდგომებით ვსწავლობთ. ჩემი მშობლები დღევანდელ პროგრამას რომ ხედავენ, რითიც ვსწავლობთ. ამბობენ, რომ განსხვავდება იმისაგან, რაც მათ ისწავლეს. თითქმის ყველა საგანში ლოგიკურ და თავისუფალ აზროვნებას გვთხოვენ. რაც ძალიან მომწონს. მე ახლა, ამ ეტაპზე, რაც ყველაზე მეტად მაკლია, ბორჯომში დიდი ბიბლიოთეკაა, რომელიც ქალაქის ცენტრში უნდა იყოს და არა ისეთ ადგილას, სადაც ტრანსპორტით მისვლა გჭირდება და თანაც გარემოც არაა შესაფერისი. წიგნების კითხვა ძალიან მიყვარს. ყველა წიგნის ყიდვის საშუალება არაა და ბიბლიოთეკა რომ იყოს ადგილზე, ვივლიდით. ეს მარტო ჩემი გულისტკივილი არაა, ბევრ ჩემი თანაკლასელი და მეგობარი საუბრობს ხოლმე, რომ არ გვაქვს კარგი ბიბლიოთეკა ბორჯომში.

ჩაიწერა **ნატო მელიქიძემ**

წარსულის ქრონიკა

პატარა ქალაქი დიდი ისტორიით

თვალწარმტაცი ბორჯომის ხეობას მეცხრამეტე საუკუნის შუახანებამდე სადგერის ხეობა ერქვა, უფრო ადრეულ საუკუნეებში, თორის მხარეახალციხის საფაშოს მოშლისა და სამცხე-საათაბაგოდან თურქ დამპყრობთა განდევნის შემდეგ კი ბორჯომის ხეობის ხელახალი დასახლება დაწყებულა. XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ზემო იმერეთიდან და ქართლიდან ბორჯომის ხეობაში მოსახლეობა გადმოსახლებულა და უკრაინელი და ბერძენი მოახალშენეებიც დამკვიდრებულა7 68ნ, თუმცა ბორჯომის ხეობის განვითარება მინერალური წყლების ხელახლა აღმოჩენასთან არის დაკავშირებული.

ბორჯომის ხეობის სილამაზესა და სიკეთეზეც ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჟერად ისტორიკოსმა ბაკურ გელაშვილმა ბორჯომის ხეობასთან დაკავშირებული არანაკლებ საინტერესო ისტორიები გაგვაცნო.

- 1825 წლის გაზაფხულზე ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცები ბორჯომში შეშას ამზადებდნენ. ჯარისკაცმა მდინარე ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე ნაპრალიდან ამომავალი თბილი წყარო ნახა და წყალი პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ პოპოვს მიუტანა, რომელსაც კუჭი აწუხებდა. პოლკოვნიკი შედეგმა იმდენად განაცვიფრა, რომ ბრძანება გასცა, წყარო ქვებით შემოეღობათ და მის ახლოს 2-ოთახიანი პატარა სახლი აეშენებინათ.

ბორჯომის წყლის უნიკალურობის ამბავი მალე გავრცელდა და გორში განლაგებული ქართველ გრენადერთა პოლკის სამხედრო ექიმი ამიროვი ბორჯომში ჩავიდა. მოგვიანებით წყლის პირველი სინჯები სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში გაგზავნა. ბორჯომის მინერალური წყლების საოცარი თვისებები რუსეთში მთავარი სასაუბრო თემა გახდა. სწორედ ამან უბიძგა კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ-გუბერნატორ ევგენი გოლოვინის ქალიშვილს ბორჯომში ჩასულიყო. მართალია, ისტორიული წყაროები არ აზუსტებენ, გენერლის ქალიშვილი რით იყო ავად, მაგრამ ფაქტია, ის განიკურნა. ამ შემთხვევის გამო მინერალური წყლის პირველ წყაროს მის პატივსაცემად „ეკატერინსკი“ ეწოდა, ხოლო იმავე პერიოდში ნაპოვნ მეორე წყაროს - „ევგენიევსკი“, გენერალ-გუბერნატორის სახელი.

ვორონცოვიდან რომანოვამდე

1844 წელს კავკასიაში მეფისნაცვლად მიხაილ ვორონცოვი დაინიშნა. ის იმდენად აღფრთოვანებულა ბორჯომით, რომ საკუთარ რეზიდენციად უქცევია და მშენებლობებიც წამოუწყია. სწორედ მას აუშენებია მინერალურ წყაროსთან ქვის გალერეა, სადაც იმ დროისათვის საჭირო რაოდენობის აბაზანა ჩაუდგამს. მის დროს აგებულა მტკვარზე ხის ხიდიც. დიდი მთავარი მიხილ რომანოვი, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა,

1862 წელს კავკასიაში მეფისნაცვლად გაამწესეს და ოჯახით (მას 7 შვილი ჰყავდა) თბილისში დასახლდა. დიდ მთავარს ბორჯომი ისე მოსწონებია, რომ სასახლის აშენება დაუწყია. სასახლე მავრიტანიული სტილით აუგიათ. გადმოცემით, მიხაილ რომანოვის სასახლის საზეიმო გახსნას იმპერატორიც დასწრებია და ბორჯომის სილამაზით აღფრთოვანებულს ბორჯომის მამული თავისი ტყეებითა და მინერალური წყლებით სამუდამო მემკვიდრეობის უფლებით მიხეილ რომანოვისთვის უბოძებია. მას შემდეგ, რაც ბორჯომი რომანოვების მამულად გამოცხადდა, რომანოვებმა დიდი წვლილი შეიტანეს მის ქალაქად ქცევაში.

„ოლღას ხიდი

1868 წელს მტკვარზე რკინის ხიდი აიგო, რომელიც სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოიტანეს, და მიხაილ რომანოვმა თავისი ცოლის, ოლღას პატივსაცემად „ოლღას ხიდი“ უწოდა. 1969 წელს ბორჯომში დიდი წყალდიდობა მოხდა და ხიდი დაანგრია, თუმცა შემდეგ კიდევ ააგეს ხიდი, ოღონდ სახელი შეუცვალეს „სილამაზის ხიდი“ დაარქვეს.

ბორჯომი არაერთი საშინელი წყალდიდობის შემსწრეა. 1968 წლის აპრილში დიდი წყალდიდობის ამბავი ბაბუაჩემისგან, ალექსანდრე გელაშვილისგან ვიცი. ბაბუამ თავის ძმასთან, ნიკოლოზ გელაშვილთან ერთად საკუთარი სიცოცხლის ფასად შეუნარჩუნა უხიდოდ დარჩენილ ბორჯომის ხეობას ჩარხისწყლის ხიდი.

ბაბუაჩემი და მისი ძმა ნიკოლოზი იმ პერიოდში რკინიგზაში მუშაობდნენ. უხვი ნალექის გამო 18 აპრილს მტკვრის დონე ისე ყოფილა აწეული, რომ ქალაქის ცენტრალური მოედანი, რკინიგზის სკოლისა და ჩარხისწყალი-ვაშლოვნის ცენტრალური საავტომობილო გზა წყალს დაუფარავს. ადიდებულ მდინარეს უზარმაზარი ხეები და დანგრეული ხიდის ნაწილები მოჰქონდა. იმ დღეს ძმები მორიგეობდნენ. საფრთხე ქალაქ ბორჯომსაც ემუქრებოდა. ძმებს ხიდის გადასარჩენად სარისკო გადაწყვეტილება მიუღიათ - ალექსანდრე წვალებით გასულა ხიდზე, რომელზეც მდინარე ზევიდან გადადიოდა და ლითონის გვარლები ჩაუბამს ჩახერგილი ხეებისთვის. გვარლის მეორე მხარე კი იმ ორთქლმავალს გამოაბეს, რომლის მემანქანე მისი ძმა, ნიკოლოზი იყო. ასე გაათრიეს ხეები და წყლის ძლიერ ნაკადის გასვლის საშუალება მისცეს. ასე გადაარჩინეს განადგურებას ჩარხისწყლის დღემდე მოქმედი ხიდი და ქალაქი ბორჯომი. წლების წინ ამ ამბავზე ფილმიც გადაუღიათ, რომელსაც „წყალდიდობა ბორჯომში“ ერქვა.

გუსტავ ეიფელი ბორჯომში

„კუკუშკა“ ყველა ჩვენგანში ბავშვობის მოგონებებს აღვიძებს. პატარების გულის გამხარებელი მატარებლის გუგუნიც რომანოვების ბორჯომულ ცხოვრებას უკავშირდება. სწორედ მათ წამოიწყეს 1897 წელს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა, რომელიც 1902 წელს დამთავრდა. სპეციალურად ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზისათვის ინგლისიდან ჩამოიყვანეს პორტერის ტიპის ორთქლმავალი, რომელსაც ღია, მხოლოდ მოაჯირებით შემორაგული ვაგონები ებმებოდა. 1902 წელს კი მდინარე ცემისწყალზე აშენდა ხიდი, რომელიც ბორჯომ-ბაკურიანს ერთმანეთთან რკინიგზით აკავშირებდა. ხიდის კონსტრუქცია ფრანგმა არქიტექტორმა გუსტავ ეიფელმა შექმნა, იმ ეიფელმა, რომელმაც პარიზში ეიფელის კოშკი ააგო. ცემის ხიდი მილიონამდე დეტალით საფრანგეთიდან ჩამოიტანეს და აქ ააწყვეს. არსებობს ვერსია, რომ ბორჯომის ცენტრალურ პარკში, მდინარე ბორჯომულაზე გადებული მცირე ზომის ხიდიც რომანოვის დაკვეთით ეიფელის შექმნილია.

პანდემიის დროს ბორჯომ-ბაკურიანის „კუკუშკამ“ მუშაობა შეაჩერა, თუმცა პანდემიამ გადაიარა და პატარა მატარებელს გუგუნი არ განუახლებია. როგორც ამბობენ, „კუკუშკა“ სარკინიგზო ხაზის ავარიულობის გამო დადუმდა.

რომანოვის სიყვარულის ისტორია

- მიხაილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მემკვიდრე ნიკოლოზ რომანოვმა საცხოვრებლად ლიკანი აირჩია. იქ ჯერ ულამაზესი პარკი გააშენა, 1892-1895 წლებში კი დიდებული სასახლე ააშენა. ნიკოლოზ რომანოვის ბრძანებით, სასახლე არქიტექტორმა ლეონტინ ბენუამ ააგო.

ბორჯომში ლეგენდად დადის ნიკოლოზ მიხაილის ძე რომანოვის სატრფიალო ისტორიები. თავდაპირველად ბიძაშვილი შეჰყვარებია. რადგან ეს მიუღებელი იყო მართლმადიდებლებისთვის, სიყვარულში გულგატეხილ ნიკოლოზს ცოლი აღარასოდეს შეურთავს და არც შვილი ჰყოლია. მოგვიანებით, ნიკოლოზ რომანოვს ვარვარა რომანენკო შეუყვარდა. ვარვარას ოჯახი პოლტავიდან ჩამოუსახლებიათ წაღვერში. გოგონას რუსულთან ერთად ქართულიც კარგად შეუსწავლია. ვარვარა ნიკოლოზის ძმის, სერგეი რომანოვის სასახლის მეთვალყურის, კუხარევიჩის მეუღლე იყო. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ამავე სასახლის მეთვალყურეს, ერმოშკინს გაჰყვა ცოლად და მეუღლესთან ერთად ლიკანის სასახლეში გადასულა, სადაც 1949 წლამდე მუშაობდა. სილამაზით განთქმული ვარვარა სასახლის შეუცვლელი დიასახლისი და უერთგულესი მეგობარი იყო ნიკოლოზ რომანოვისა. მათი ურთიერთობა ხანგრძლივი აღმოჩნდა, მაგრამ ვარვარას დაბალი წარმომავლობის გამო ნიკოლოზს არ შეეძლო მისი ცოლად შერთვა. სასახლის დიასახლისმა სიკვდილამდე, 1958 წლამდე იცხოვრა ბორჯომში.

ვინ უძღვნა სარკეებიანი სახლი საყვარელ ქალს?

- ბორჯომის ცენტრალურ პარკთან სარკეებიანი ლურჯი შენობა ყველა მნახველს ხიბლავს. მას ფირუზას სახლსაც ეძახიან. ფირუზას სახლი 1892-1893 წლებშია აშენებული. როგორც ამბობენ, საქართველოში ირანის საელჩოს წარმომადგენელმა, მირზა რიზახანმა საყვარელ ქალს მიუძღვნა. „ფირუზად“ წოდებული ეს შენობა აღმოსავლურ სტილში იყო აშენებული და მორთული ფიგურული ორნამენტებით. წინა, გუმბათისებური ნაწილი მოპირკეთებულია ფერადი, უმეტესად ფირუზისებრი სარკეებით. 1925 წლიდან იქ განთავსდა სანატორიუმი, 2012 წელს სახლს ჩაუტარდა რესტავრაცია და ახლა სასტუმროა.

ნელი ვარდიაშვილი

პოეზია

8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

ჩემი დარდი და ნატვრა

იდეალები ვცალე ყანწივით,
ცხოვრება მაინც ძალით მიმათრევს;
ბრძოლის ჟინი მკლავს მთების არწივის
ანწუხელიძის თავგანწირვამდე!

საეკაძისდარ გმირებს ვაღმერთებ, -
დედა-სამშობლო ფეხზე დგებოდა;
ბრძოლის ველი თუ ვერ დამაბედეს,
ნეტავ პაატას ბედი მრგებოდა!

დიდგორის გორზე დარჭობილ მახვილს
ვკოცნი და... თანაც ცრემლი ჩამომდის,
აფხაზეთისა ცოცხლად მკლავს დარდი,
ველარ ჩავსულვარ სამაჩაბლოში(!)...

„მესიის მახვილს“ გამოვთხოვ შველას,
ძალას და რწმენას კაცით კაცამდე:
ჩემი სამშობლო კვლავ გაშლილიყოს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!!

უშანგი ჯანგირაშვილი,

p.s. აკადემიკოსმა ბატონმა როინ მეტრეველმა მოითხოვა, რომ 2023 წელი გამოცხადდეს დავით აღმაშენებლის წლად! რასაკვირველია, უნდა გამოცხადდეს!

ბაკურიანი 2023 _ BAKURIANI

(ეძღვნება ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატს)

ღამე ვარსკვლავთა ოქროს "ტიტებში",
მთვარე ვერცხლისფერ სხივში ელვარებს,
თოვლი ციმციმებს მარგალიტებში,
თხილამურები სერავს მწვერვალებს.
მზე „კოხტაგორის" თავზე იღიმის,
ხარობს, - სიცოცხლით ავსებს მთის კორდებს,
მოსრიალე და მოციგურავე,
ქალი თუ კაცი ხსნიან რეკორდებს!
ირმების ჯოგი ტყეში ნავარდობს,
თითქოს სპორტსმენებს ესალმებიან,
ცაზე არწივთა გუნდი ზეიმობს,
მტრედს ირაოში ეჯიბრებიან.
სტუმართმოყვარე, ბაკურიანი,
„დედას პურებით" მასპინძლობს ბავშვებს,
დაზრდიან ღონით აღსავსე გმირებს,
როგორც ალგეთის ლეკვებს მგლის ნაშვებს!..
"მცივანას" მთაზე თითქოს ყანადან,
როდოდენდრონი უმღერის მდელოს,
დედა ქართლისა ნარიყალადან,
ლოცავს უფლისწილ მთელ საქართველოს!

რუსლან ჯანიძე

თინეიჯერებს

სადაც იყოთ, როგორც იყოთ

თქვენი თავი გირჩევნოდეთ
ყველასა და ყველაფერსა,
როგორც სახალხო მგოსანი
სხვას ვერ გირჩევთ ვერაფერსა.
სადაც იყოთ, როგორც იყოთ
იყავთ მამაცურადა,
ჭირში, ლხინში, ყველაფერში
მუდამ ვაჟკაცურადა.
გიყვარდეთ დიდი, პატარა,
ხალხი ყველა რჯულისა,
ყველა ერის, ეროვნების
კეთილ გულის-სულისა.
არაფერმა გაგაბრიყვოთ
სიგლახისა მცდელობით,
ქონებით ან უქონლობით,
წინ დაუხედველობით.
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ
ხალხის სიყვარულითა,
რაც სიყვარულით მოიმკის
ვერ იყიდით ფულითა.

ზურაბ ძუნცელი,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ზღაპრული ზამთარი

ჩანახატი

შუაღამისას მთვარის შუქმა გამაღვიძა. წამოვდექი. ჩვენს ეზოში ობლად დარჩენილი კაკლის ხე იდგა, რომელსაც მთვარე ლამაზად დაჰყურებდა და ბრწყინავდა. ხე სულ თეთრი იყო, თითქოს ფიფქები ნაზად ედებოდა მის გამხმარ ტოტებს...

მთვარე ზამთარს ჰგავს თითქოს ზამთარივით ცივია და ნაცრისფერი, ბებერი და ბუტბუტა. ისეთი ზღაპრული ხედია, დაძინებაც გადავიფიქრე. ხვალ არდადეგების პირველი დღეა და თავში ათასმა აზრმა გამიელვა. ჩემს გონებაში დავაწყე ხვალინდელი დღეზე ფიქრები და ისევ დაძინება გადავწყვიტე.

დილამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ყველაფერი ქათქათებ-და, მზის სხივები კი კიდევ უფრო ალამაზებდა მიდამოს. სახლში გული აღარ გამიჩერდა და გარეთ გავედი. ცოტა ხანს კიდეც მოვიწყინე, რადგან ირგვლივ ვნახე ჩიტები, რომლებსაც ვერ მოესწროთ თბილ ქვეყნებში გაფრენა და თოვლის ზედაპირზე აბუზულები საკვებს ეძებდნენ. არც მე მიყვარს ზამთარი მათსავით, მაგრამ მისი ზღაპრული სილამაზე თითქოს აზრს გაცვლევინებს.

დღე ისევე ლამაზად დამთავრდა, როგორც დაიწყო, მთელი დღე მეგობრებთან ერთად თოვლში გავატარე. საღამოს კოცონი დავანთეთ და ჩემი მეგობრის მიერ შესრულებული სიმღერებით ყველა გავხალისდით. ასე დამთავრდა ჩემი არდადეგების პირველი დღე.

ბარბარე ფავენიანი,
წაღვერის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ბორჯომს ბიჭუნათა გუნდი ჰყავს

გასული წლის ნოემბრის დასაწყისიდან ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზიდან კვირაში ორჯერ გაიგონებთ ბიჭუნათა მჭექარე ხმებს. მათ დაიწყეს დიდი სიამოვნებითა და სურვილით ფოლკლორულ სიმღერებთან ზიარება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უზადო პროფესიონალი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი კულტურის საკითხებში, **გიორგი ბუგიანიშვილი.** ჩვენ დავესწარით ერთ-ერთ რეპეტიციას, სადაც ერთნაირად საყვარელი პატარები ცდილობდნენ ემღერათ. არ დაგიმალავთ, ეს ისეთი მომნუსხველი იყო, რომ სიმღერის მოყვარული და დამფასებელი ადამიანი კიდევ ბევრჯერ დაესწრებოდა. სიახლე ყველას ახარებს. რეპერტუარში ფოლკლორული შვიდი-რვა სიმღერა უკვე დამუშავების პროცესშია. ანსამბლის ხელმძღვანელი მოლოდინებსა და გეგმებზე გვესაუბრა: „ოცდაათამდე ბიჭი გვყავს“. მნიშვნელოვანია საძირკველი ჰქონდეთ, როცა გაიზრდებიან, ანსამბლ „ბორჯომში“ გააგრძელებენ მოღვაწეობა. ნოემბრიდან დავიწყეთ რეპეტიციები. 22 წელია ჩემი ანსამბლი მყავს „ჩოხოსნები“. მე არ ვიწყებ მუშაობას 6 წლის ბიჭუნებთან, შერეულია მათი ასაკი, მინდა უფრო მალე გამოვიყვანო სცენაზე და შევკრა პირდაპირ ანსამბლი, რადგან არიან ბიჭები, რომლებიც უკვე კარგად მღერიან. სექტემბრიდან კი ანსამბლში მიღების წესად ექვსი წელი დადგინდება, რათა მათთან თავიდან, თანმიმდევრობით ვიმუშაო საფეხურებად. ესენი მე ადიდებულ წყალში

შევყარე და ჯერჯერობით კარგად ცურავენ. ორი თვის თავზე ანსამბლი ჯერ არაა მზად საჯაროდ გამოსვლისთვის, რადგან ხარისხი უპირველესია, მაგრამ ყველაფრის ცდა შესაძლებელია, პროგნოზს ჯერ ვერ ვაკეთებ. მოლოდინი მქონდა და კიდეც გაამართლა. დამხვდა კარგი ნაკადი. მე სულ სხვა მისიით ჩამოვედი, მაგრამ ძალიან მთხოვეს, გაგვეკეთებინა ბიჭუნათა გუნდი. ბატონ ოთარს დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ყველა ჩვენი პროექტის თანამდგომია.

მონიკა ჭანტურია

1 თებერვალი - წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე



მერვედ, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნება!

ეს არის ღონისძიება, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 90 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს შეუერთდა ცენტრალურ ბიბლიოთეკაც... შეკრებილ საზოგადოებას ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა წაუკითხეს ფრაგმენტები ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებიდან

წავიდა მთავარი სათქმელის უთქმელად

(ნათელში ამყოფოს უფალმა ომარ ჩხეიძის სული)

მაშინ ჯერ კიდევ შეიძლება ითქვას, ცოტა უკეთესად იყო, თუმცა უღონოდ.

წამალი ჩვენ თვალწინ დალია, რამაც ცოტა ხნით მოაძლიერა. ორმოცი წუთი მაქვსო. იცოდა, რომ მალე ისევ უღალატებდა ჯანი.

წამალმა მოქმედება დაიწყო, მან კი მოყოლა.

ჰყვებოდა ისე ჩქარა, ისე ხარბად.

მოსწრებაზე იყო თითქოს!

...ჰყვებოდა თბილისის, მოსკოვის, პარიზის ამბებს...

ორმოც წუთში უნდა ჩატეულიყო. კონკიას ზღაპრისა არ იყოს, 12 საათამდე რომ უნდა მოესწრო შინ დაბრუნება...

ორმოც წუთში უნდა მოესწრო მთელი განვლილი ცხოვრებისა და სამომავლო გეგმების მოყოლა.

მონაყოლში ბევრი იყო წარმატებული, სიხარულით სავსე, ზოგჯერ მარცხით, ახალგაზრდული დაუდევრობით თუ სხვა მიზეზებით შუა გზაზე მიტოვებული საინტერესო პროექტები, სევდითა თუ იმედებით სავსე ამბები...

იდეა ჰქონდა, სათქმელიც, მაგრამ ღალატობდა მარჯვენა, რითიც უნდა შეექმნა - იქნებ შედევრიც?!

ამ ასაკში, ამხელა გამოცდილებით აუცილებლად იტყოდა თავის მთავარ სათქმელს, მაგრამ...

ტრაგედიაა, გქონდეს იდეა, გული გერჩოდეს და გღალატობდეს მარჯვენა. სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე ნაყოფიერი იქნებოდა შენი ნაშრომი.

დასანანია!

წავიდა მთავარი სათქმელის უთქმელად!

მაია ორთოიძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ბაკურიანის საჯარო სკოლის 2020 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი მაია ბაბუნიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე კლასის კურსდამთავრებულის, საბა გოგოლაძის დედის

ხათუნა გრიგალაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.